ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ს/ს ინსტიტუტი

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

„შუა საუკუნეების საქართველო“

კონფერენცია ეძღვნება
პროფ. ნოდარ შოშიაშვილისა და პროფ. გივი ჯამბურიას
100 წლის იუბილეს

მოხსენებათა თეზისები

21-22 ივნისი

თბილისი
2024

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

თედო დუნდუა
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ-ის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

ეკატერინე ნავროზაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

ალექსანდრე ბოშიშვილი
ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, თსუ-ის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ლერი თავაძე
ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, თსუ-ის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

აპოლონ თაბუაშვილი
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ-ის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ლუკა ნებიერიძე
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

რეგლამენტი:

მოხსენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი
დისკუსია/მსჯელობა – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული



ნოდარ შოშიაშვილი (1924-1999) – ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (1952), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1998), პროფესორი (1992). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი (1946). 1951-1958 წლებში მუშაობდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის განყოფილებაში. 1959-1972 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, 1972 წლიდან თსუ-ის საქართველოს ისტორიის კათედრის თანამშრომელი. იკვლევდა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიას, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხებს, ქართულ ისტორიულ საბუთებს, ეპიგრაფიკულ ძეგლებს. მის სახელთან არის დაკავშირებული „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსისა“ (I. თბ. 1984) და „ქართული წარწერების კორპუსის“ (I. თბ. 1980) გამოცემა. სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით (1998).

გივი ჯამბურია (1924-2012) – ქართველი ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (1950), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1975), პროფესორი (1982). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი. 1951-1981 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. 1975 წლიდან თსუ-ის საქართველოს ისტორიის კათედრის თანამშრომელი. იკვლევდა საქართველოს შუა საუკუნეებისა და ახალ ისტორიას, სოციალური და ეკონომიკური ისტორიის საკითხებს. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომის თანაავტორობისთვის გ. ჯამბურიას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია (1982), სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით (1998).

შოთა კენჭოშვილი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

დავით III კურაპალატსა და ბაგრატ III-ს შორის წარმოქმნილი „დაპირისპირების“ შესახებ

მოგეხსენებათ, საქართველოს გაერთიანების პროცესი სულაც არ წარიმართა მარტივად და მისი შესწავლისას ვხვდებით გარკვეულ მონაკვეთებს, რომლებიც ისეთ შთაბეჭდილებასა და განცდას ტოვებენ, რომ წყაროები რომლებიც ხელთ გვაქვს და მასზე დაყრდნობით ვსწავლობთ ამ პროცესს, ბოლომდე არ გადმოგვცემენ ინფორმაციას და კვლავ რჩება გარკვეული მონაკვეთები ბუნდოვნად, რომლებიც საჭიროებს კვლევა-ძიებას.

ბაგრატ III-სა და დავით III კურაპალატს შორის არსებული „დაპირისპირება“ რთული საკითხია, რომლის გაანალიზებასაც კიდევ უფრო ართულებს კლდეკარის ერისთავის, რატი ბაღვაშის ჩართულობა. ვინაიდან ბაღვაშის პოლიტიკური ორიენტაცია ბუნდოვანია და ისე ჩანს, თითქოს რატი ბაღვაში არც დავით კურაპალატს და არც ბაგრატ III-ს არ ემორჩილება.

„მატიანე ქართლისაჲს“ თუ დავუჯერებთ, შუღლი ორ დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს შორის, გაუგებრობის საფუძველზე წარმოიქმნა და რეალური დაპირისპირება ბაგრატ III-სა და დავით კურაპალატს შორის არ ყოფილა. თუმცა, ცნობილია, ასევე, ისეთი ავტორების ცნობებიც, როგორიცაა ასოლიკი და იაჰია ანტიოქიელი. მათი აღწერილი ცნობებიდან გამომდინარე ჩნდება აზრი, რომ ბაგრატ III-სა და დავით III კურაპალატის ლაშქრის პირისპირ დადგომას კარუშეთში, სულაც არ ჰქონია შემთხვევითობის მომენტი, როგორც ამას „მატიანე ქართლისაჲ“ აღნიშნავს. ქართველი მემატიანეს ცნობით, ბაგრატის ეს სამხედრო მანევრი მიმართული იყო რატი ბაღვაშის წინააღმდეგ. თუმცა, არა მხოლოდ იაჰია ანტიოქიელის ან ასოლიკის ცნობა, არამედ „მატიანე ქართლისაჲს“ გარკვეული მონაკვეთები თავადვე უპირისპირდება ირიბად ამ აზრს და აჩენს კითხვებს ბაგრატ მეფესა და დავით კურაპალატს შორის მომხდარი ეს „დაპირისპირება“ იყო გაუგებრობა თუ ეს იყო ბაგრატ III-ის მიერ ორგანიზებული სამხედრო ოპერაცია, რომელიც ვერ განხორციელდა და, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ორივე მხარემ თვალი დახუჭა ამ ფაქტზე და „შენიღბეს“, როგორც გაუგებრობა. სწორედ აღნიშნული საკითხის გარკვევა და ახსნა წარმოადგენს მოხსენების მიზანს.

გიორგი ჩანადირი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

გივი ფხაიძე
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

ვიკინგები საქართველოში:
წარმომავლობა და მათი რაოდენობა

ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში, დასავლეთ ევროპაში ჩნდებიან სკანდინავიელი დამპყრობლები, ისინი განვითარებით ევროპის სხვა ქვეყნებს ჩამორჩებოდნენ, მათ არ განუცდიათ რომის იმპერიის გავლენა. ფეოდალიზაციის პროცესი, როდესაც მთელს ევროპაში დასრულებულია, სკანდინავიელებში ახალი დაწყებული იყო. ვიკინგების ლაშქრობის მიზანი იყო ახალი მიწების აღმოჩენა, კოლონიზაცია და ყაჩაღური თავდასხმები სანაპირო ზოლზეც, რის გამო დასავლეთ ევროპის მონასტრებში, სპეციალური ლოცვაც კი შემოიღეს: „ნორმანთა მძვინვარებისგან დაგვიფარე შენ, უფალო.“

საქართველოში ვიკინგების გამოჩენა აღწერილია „მატიანე ქართლისაჲში“, მიუხედავად წყაროს სიმცირისა ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მოვლენამ დიდი დაინტერესება გამოიწვია, ვინაიდან და რადგანაც არის რიგი საკითხები, რომელიც საჭიროებს დაზუსტებასა და შემდგომ კვლევა-ძიებას, მაგალითად, მათი წარმომავლობის, ასევე, რაოდენობის შესახებ.

„მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით, ბაგრატ IV-მ მოიწვია ვიკინგები (3000 მებრძოლი) ლიპარიტთან დაპირისპირებაში დასახმარებლად, ამ 3000 ვიკინგიდან, ბაგრატმა 2300 კაცი დატოვა ქუთაისთან ახლოს, სოფელ ბაშში, ხოლო 700 ვიკინგი წაიყვანა სასირეთის ბრძოლაში, სადაც ბაგრატი დამარცხდება. ბრძოლის შემდგომ, ვიკინგებს დაპირებული ალაფი ლიპარიტმა გადაუხადა. ვიკინგების მოწვევის მთავარი მიზანი, რასაკვირველია მათი ბრძოლაში გამოყენება იყო ამიტომ ჩვენთვის გაურკვეველია, თუ რატომ მიჰყავს ბაგრატს მხოლოდ 700 კაცი. ვფიქრობთ, რომ წყაროში მოცემული რაოდენობა 3000 ვარანგი გადაჭარბებული უნდა იყოს და გვსურს ამ მოსაზრების არგუმენტირებულად გამყარება.

მოხსენების მიზანია განვიხილოთ ისეთი საკითხები, რომელიც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მაგალითად მატიანეში მოხსენიებული „ვარანგნის“ წარმომავლობა. ზოგი მათ ბიზანტიი-

დან მოსულ ვიკინგებს მიიჩნევს (ჯ. სამუშია), ზოგი კიევის რუსეთიდან (რ. მეტრეველი). ზოგი მკვლევარი კი პირდაპირ სკანდინავიიდან წამოსულებად (ნ. ვაჩნაძე, გ. ჭეიშვილი) თვლის. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ისინი უშუალოდ სკანდინავიიდან უნდა მოსულიყვნენ. ასევე, „მატიანე ქართლისაჲში“ მოცემული ინფორმაცია გაურკვევლობას იწვევს, რადგან ბრძოლის შემდგომ ვიკინგებს „პაშტი“ ლიპარიტმა მისცა. წყაროში მოცემული ეს მონაკვეთი თითქოს გვიჩენს განცდას, რომ ვიკინგები ლიპარიტის მოწვეულნი იყვნენ, თუმცა მიგვაჩნია, რომ მიუხედავად ამ დამაბნეველი ფაქტისა, ისინი მაინც ბაგრატის მოწვეულნი უნდა ყოფილიყვნენ.

ეთეხი ნახეკლიშვილი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ელენე გოგიაშვილი

სიყვარულის აპოლოგიის მხატვრული რეალიზაცია „ეთერიანში“

სიყვარულის თემატიკა საქართველოში გვიანი შუა საუკუნეების ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ მოტივად არის ქცეული. ადამიანურ გრძნობათა ცოცხალი, მეტყველი ხატვა, ამაღლებული გრძნობების წარმოჩენის გზით პერსონაჟთა ხასიათების გახსნა ქართული ხალხური სამიჯნურო-რომანტიკული ეპოსის ნიშანდობლივი მახასიათებელია. ამის ცალსახა მაგალითს წარმოადგენს „აბესალომ და ეთერის თხზულება“, რომელიც შუა საუკუნეების მონაპოვარია და საქართველოს ყველა კუთხეში მისი (ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ენებზე შესრულებული) 70-მდე ვარიანტი გვხვდება.

მკვლევართა ვარაუდით, თქმულების სიუჟეტის სიძველის მიუხედავად, „ეთერიანის“ ხალხური რედაქცია X-XI საუკუნეებში პატრონყმურ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა. ვარიანტთა მცირე სხვაობის მიუხედავად, საერთო ქარგა ობოლი, დედინაცვლისგან დაჩაგრული ეთერის, მეფის ძის-აბესალომის და მისივე ყრმის-მურმანის ირგვლივ იქსოვება. მათი ყოვლისმომცველი ვნება გადახლართულია გარდაუვალ ბედისწერაში რაც სასიყვარულო სამკუთხედს ქმნის, სიუჟეტურ ანალოგიებს ვაწყდებით შუა საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ რომანებში: „ტრისტან და იზოლდასთან“ და „ვისრამიანში“.

მოხსენება მიზნად ისახავს, აჩვენოს თუ როგორი სპეციფიკურობით და მაღალი ხელოვნებით არის ასახული მარადიული სიყვარულით გა-

ნმსჭვალული ქალ-ვაჟის ტრაგიკული ბედი, ესთეტიკური იდეალი და მსოფლმხედველობა, ასევე ვეცდები თვალსაჩინოდ წარმოვაჩინო პატრონყმური ურთიერთობის მოტივი და სოციალური ანტაგონიზმი რომლითაც გაჟღენთილია მთლიანი ეპიკური ტილო.

თეონა ქახჩავა
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის
პროფესორი დემურ ჯალაღონია

იოანე პეტრიწი, შუა საუკუნეების ქართველი ფილოსოფი

შუა საუკუნეები გამორჩეულია როგორც ხელოვნების, ლიტერატურის, მუსიკისა და ისტორიული მოვლენების, ისე ფილოსოფიის მხრივ. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი მოაზროვნეები როგორებიც იყვნენ ნეტარი აგვუსტინე, ბოეთიუსი, ავიცენა და სხვები. მათ რიგებში მოიხსენიება ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელმაც თავისი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული აზროვნების განვითარება-ჩამოყალიბებაში. ჩემი საკონფერენციო ნაშრომიც სწორედ ამ ღირსეულ ქართველ ფილოსოფოსს შეეხება.

შევეცდები ჩემი მოხსნებით განვიხილო მისი გავლენები ფილოსოფიურ აზროვნებაზე. გარდა ამისა, აღვნიშნო პეტრიწის ფილოსოფიის მთავარი ორიენტირები, რამდენად ახლოს იყო ის ქართულ ტრადიციულ აზროვნებასთან და რამდენად ინოვაციური ფილოსოფოსი იყო თავად.

იოანე პეტრიწი იყო მთარგმნელი, პოეტი და ფილოსოფოსი. ის დიდი პატივით მოიხსენიება ქართულ წყაროებში და მისი დამსახურებაა საქართველოში ანტიკურობის შემოტანა. იგი ეყრდნობოდა არისტოტელეს, პროკლეს, ნემესიოს ემესელს და ქმნიდა ქართული ფილოსოფიის ტერმინოლოგიას, ახალ საფეხურს. პეტრიწის შრომები დაფასებულია როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. დიდი წვლილი მიუძღვის პროკლეს იდეების განვრცობაში. საკუთარი კომენტარებით, გავლენიანი ფილოსოფოსების დამოწმებით, აყალიბებდა დამოუკიდებელ ფილოსოფიურ მოსაზრებებს პირველმიზეზის, ღმერთის, სულისა და სხეულის მიმართებაზე. თავის ნაშრომებში ეტაპობრივად ავითარებს ღმერთის გაგებისა და არსებობის არგუმენტს. მიაჩნია, რომ ღმერთი სამყაროსადმი ტრანსცენდენტურია, მაგრამ შინაგანად მაინც სურს მისი არსებობის ონტოლოგიური არგუმენტი ჩამოაყალიბოს.

მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეების მოაზროვნეა და ისიც ქრისტიანული მსოფლმხედველობით ხელმძღვანელობს, არ უარყოფს ფილოსოფიას და ცდილობს თეოლოგიის და ფილოსოფიის დაახლოებით მთავარ მეტაფიზიკურ საკითხებზე გაამახვილოს ყურადღება.

იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მოღვაწეობა მნიშვნელოვანია როგორც ქართველებისთვის, ისე სხვა ეროვნების მოაზროვნეებისთვის, რადგან იგი გამოირჩევა თავისი ახალი იდეებითა და იმ ღვაწლით, რომელიც უცხოური ნაშრომების თარგმანებსა და გავრცელებაში შეიტანა.

ნინო თადიაშვიღი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

თამარ ღუკიანსკი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

თორელთა რეზიდენციის მნიშვნელობა

ჩვენი მოხსენების თემას წარმოადგენს თორელთა რეზიდენცია და მასში შემავალი თორის ნადარბაზევის კომპლექსი, რომელიც მდებარეობს ცენტრალურ თორში. ამ ისტორიული ძეგლით დავინტერესდით, რადგან თორელთა საგვარეულოს პირდაპირი კავშირი ჰქონდა თამარ მეფის დროინდელ სამეფო კართან, რაც შემდგომში მათი დაწინაურების მიზეზიც ხდება. მოძიებულ იქნა საისტორიო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა, სადაც ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციაა დაცული.

თორის ხეობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია როინ მეტრეველის, ნოდარ შოშიაშვილის, დევი ბერძენიშვილის, სერგი მაკალათიასა და სხვათა ნაშრომები. უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა თამაზ გოგოლაძის „ბორჯომის ხეობის ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლები“, რომელშიც სხვა ძეგლებთან ერთად, საუბარია თორის ნადარბაზევის კომპლექსსა და წმინდა გიორგის ეკლესიაზე. რაც შეეხება საისტორიო წყაროებს, ვეყრდნობით ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოჲსას.''

შუა საუკუნეების თორი იყო საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, მაგრამ ჩვენ გვსურს კონკრეტულად ყურადღება გავამახვილოთ მის ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე იმ რეზიდენციის ნან-

გრევებზე, რომელიც ერთ დროს თორელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თორელები დაწინაურდნენ თამარ მეფის დროს, რაც განპირობებული იყო მათი ბრძოლისუნაირიანობითა და სამხედრო საქმის სრულყოფილად ცოდნით. თუმცა, თორი ჯერ კიდევ გიორგი მერჩულეს ცნობებით, იხსენიება VII-VIII საუკუნეებიდან, რადგან სწორედ ამ მიდამოებში მოდიან გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები, რომლებიც აქ ეკლესია-მონასტრებს აშენებენ.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი დაკვირვებები, რომელიც თორის რეზიდანციასა და მასში შემავალ ნადარბაზევს შეეხება, საინტერესო იქნება დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

ღუკა ნებიეიძე
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების (საერისთავოების), სამეფო დომენისა და ცალკეული ფეოდალების სამხედრო ძალა შუასაუკუნეების საქართველოში (XI-XII სს.)

ერისთავობის ინსტიტუტი შუასაუკუნეების საქართველოში კარგადაა შესწავლილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია მიხეილ ბახტაძის სადოქტორო ნაშრომი (მიხეილ ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი 2003). ამ და სხვა საინტერესო კვლევებით როგორც ირკვევა ერისთავის იურისდიქციიდან ამოღებული იყო სამეფო დომენი, საეკლესიო მიწები და ცალკეული მსხვილი ფეოდალების მამულები (მაგ. გაგელი, თორელი და სხვა). შესაბამისად, შუასაუკუნეების საქართველოს სამხედრო ძალა პირობითად 5 ნაწილად შეგვიძლია დავყოთ: სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები (საერისთავოები), სამეფო დომენი, ცალკეული ფეოდალები, საეკლესიო მიწები და დაქირავებული სამხედრო კონტიგენტი („როქის სპა“, „მონასპა“). მოხსენებაში ყურადღებას პირველ სამზე გავამახვილებ, ხოლო კვლევის პერიოდი ერთიანი XI-XII საუკუნეების საქართველო იქნება.

ერთეული შემთხვევის გარდა აღნიშნული ინსტიტუტები ქართულ ისტორიოგრაფიაში სამხედრო თვალსაზრისით შესწავლილი არ ყოფილა. გამონაკლისს წარმოადგენს ლერი თავაძის სტატია (ლერი თავაძე,

არმია VIII საუკუნის საქართველოში, საისტორიო კრებული 8, გამომცემლობა მხედარი, თბილისი 2020, 113-257). თუმცა, ამ შემთხვევაში მეცნიერს, როგორც მისი ნაშრომის სათაურიდან ჩანს, VIII საუკუნის საქართველოში არსებული საერისთავოებისა და სამეფო დომენის სამხედრო პოტენციალზე აქვს ყურადღება გამახვილებული.

ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდან აღსანიშნავია სტეფანოზ ორბელიანი („ცხოვრება ორბელიანთა“), დავით IV აღმაშენებლის ისტორიკოსი („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“) და თამარ მეფის ერთ-ერთი მემატიანე („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“). მაგალითისთვის, სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, ლიპარიტ IV ბაღვაშს ბრძოლის ველზე 700 ტაძრეულისა („დიდ-დიდთა აზნაური“) და 16 000 ქვეითის გამოყვანა შეეძლო. დავით IV აღმაშენებლის მემატიანის ცნობით მეფეს 1500 ტაძრეული ჰყავდა თრიალეთის ბრძოლაში. გარდა ამისა, მოხსენებისას განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებ გიორგი III-ის წინააღმდეგ მოწყობილ 1177-78 წლების აჯანყებაზე. ამბოხებულთა რაოდენობა, სტეფანოს ორბელიანის გადმოცემით, 30 000 მეომარს აღწევდა. ამ უკანასკნელისა და თამარ მეფის ერთ-ერთი ისტორიკოსის („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) ცნობები იძლევა აჯანყებული ფეოდალური სახლების საერთო რაოდენობის დადგენას (მაგ. გამრეკელ-თორელი, ივანე ორბელი, სარგის მხარგრძელი, ანანია დვინელი და სხვა), რაც საერთო ჯამში დაგვეხმარება მეტ-ნაკლებად, თუნდაც პირობითი გამოთვლების დონეზე ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ არისტოკრატიული გვარების სამხედრო პოტენციალის შესახებ. საერთო ჯამში, ვფიქრობ, საკითხი საკმაოდ საინტერესოა.

გვანცა დარასელია
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
ლერი თავაძე

XII ს-ის I მეოთხედის საქართველოს სამეფო და დავით აღმაშენებელი ჯვაროსნული სამყაროს თვალით (ანსელუსის წერილის მიხედვით)

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დავით IV აღმაშენებელს. მისი დიპლომატია და საგარეო პოლიტიკური სვლები ჯვაროსნულ სამყაროსაც შეეხო.

ჯვაროსანთა გამოჩენამ და მათმა წარმატებებმა ახლო აღმოსავლეთში დავით IV-ის საგარო პოლიტიკის გატარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. თურქ-სელჩუკთა განდევნაში და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ჩართულ საქართველოს ჯვაროსნების მიერ ახლად დაარსებული სამეფო-სამთავროები მოკავშირედ მიიჩნევდნენ. ჯვაროსნებისა და საქართველოს ბრძოლა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ, მართალია, ერთმანეთსგან სრულიად დამოუკიდებლად და სხვადასხვა მიზნით წარმოებდა, მაგრამ, ამავე დროს, ურთიერთსასარგებლოდ მიმდინარეობდა.

რამდენიმე წყაროზე დაყრდნობით დასტურდება დავით აღმაშენებელის მზარდი პოლიტიკური ავტორიტეტი ჯვაროსნულ სამყაროში. ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ ბერი ანსელუსის წერილზე.

ზურაბ ავალიშვილის ჯვაროსნების დროისადმი მიძღვნილი ოთხი ნარკვევიდან ერთ-ერთი ეთმობა იერუსალიმის წმინდა საფლავის მეფსალმუნის, ანსელუსის მიერ „ძელი ცხოველის“ ნაწილებისაგან გაკეთებული ჯვრის შეძენისა და პარიზში გაგზავნის ამბავს. ეს ფაქტი მოცემულია ანსელუსის წერილში, რომელიც წმინდა ჯვართან ერთად პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ყოფილა დაცული.

ანსელუსის წერილმა არაერთი მკვლევარის დაინტერესება გამოიწვია და სხვადასხვა დროს ითარგმნა ფრანგულ, ლათინურ და ქართულ ენებზე. ანსელუსის ეს წერილი 1108 წლითაა დათარიღებული, თუმცა მის მიერ გადმოცემული ამბებიდან აშკარაა, რომ დავით აღმაშენებელი გარდაცვლილია. შესაბამისად, სიმონ ჯანაშიას თანახმად, ეს გვაფიქრებინებს, რომ წერილი გაცილებით გვიანაა დაწერილი.

გიორგი გიგაევი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ღუკა ხეხვიაშვიღი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

„მსტოვართა ინსტიტუტის“ შესახებ

დავით IV აღმაშენებლის მეფობა, მისი პოლიტიკა და რეფორმები არაერთი მკვლევარის დაინტერესების ობიექტი გახდა და დღემდე

არაერთი საყურადღებო ნაშრომია შექმნილი. თუმცა დავით აღმაშენებლის მეფობისა და მისი ეპოქის შესწავლისას ვაწყდებით სირთულეებს, რაც, ძირითადად, დაკავშირებულია პირველწყაროების სიმწირესთან. უმთავრესი ავტორი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც კი საკმაოდ სიტყვაძუნწია. წყაროებიდან გამომდინარე, დავით აღმაშენებლის მეფობასთან დაკავშირებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები, ხშირად, განსხვავებული ვერსიების განვითარებას განაპირობებს. ერთ-ერთ ასეთად გვესახება „მსტოვართა ინსტიტუტის“ საკითხი, რომელიც საკმაოდ მრავალგზის შესწავლილი და დამუშავებულია, თუმცა, მასში მაინც შეიძლება საინტერესო დეტალების ამოკითხვა.

თემა, რომელსაც მოხსენების სახით წარმოვადგენთ, არის ძალიან საინტერესო. ცხადია ვიაზრებთ, რომ დავითს ეყოლებოდა ჯაშუშთა შენაერთი, ანდა, მინიმუმ ისეთ პირთა გაერთიანება, რომლებიც მას ინფორმირებულს გახდიდნენ ბრძოლის ველზე ტაქტიკური უპირატესობების გათვალისწინების მხრივ და ა.შ, მაგრამ, შექმნა თუ არა დავითმა მსტოვართა ინსტიტუტი, ჩვენ სწორედ ეს გვაინტერესებს.

მისი პანეგერიკული (სადიდებელი) ტექსტის სრულად გააზრების შემდეგ, რომელიც დავითის ისტოიკოსს ეკუთვნის, ვაწყდებით მნიშვნელოვან ჩანართებს, რომლებიც ეხება ქართველთა მეფეს, თუმდა მსგავსი სტილის სადიდებლები გვხვდება სხვა დიდ მონარქებთანაც, რაც იწვევს ჩვენს დაფიქრებას იმაზე, მართლა შექმნა თუ არა დავითმა მსტოვრების აპარატი, ან გნებავთ ინსტიტუტი. მხედველობაში მაქვს ე.წ. „მსტოვართა ინსტიტუტი“ რომლის შექმნელადაც მეფე დავით IV აღმაშენებელია მიჩნეული. თუმცა, რაზე დაყრდობით, ან ვის მიერ იწყება ამ თემის პოპულარიზება და დღეს რას ვგულისხმობთ ყველივე ამაში, აუცილებელი საკვლევი საკითხია. ფაქტია, რომ ისტორიული ავტორიტეტების მიერ გაზიარებულ ამ უშუალო საკითს, მართლაც ბევრის მოცემა შეუძლია მეფე დავითზე და მის ინსტიტუტზე.

ჩვენი მოხსენება შეეხება უშუალოდ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას. იგი, წყაროების ანალიზზე დაყრდნობით ფოკუსირებული იქნება განმარტოს და კრიტიკულად გაიაზროს ზემოთ მოყვანილი მოსაზრება. რის შემდეგაც, დასვამს საკითხს და შეაჯერებს ყოველივეს.

მახიამ ჭანტუხიძე
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – თსუ-ის დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი სოფიო გულიაშვილი

XII საუკუნის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხი ამავე ეპოქის წერილობით ძეგლებში

იოანე შავთელის ე. წ. „აბდულმესიანი“ სახოტბო პოეზიის უმნიშვნელოვანესი ნიმუშია და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხების გარშემო მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული.

წინამდებარე მოხსენება ერთ კონკრეტულ კითხვას უტრიალებს და წარმოადგენს მსჯელობას იმის თაობაზე, რამდენად შესაძლებელია, XII საუკუნის საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების (იგულისხმება დემეტრე პირველის, გიორგი მესამისა და დავით მეხუთის საკითხები) ანარეკლი დავინახოთ ამ ლიტერატურულ ძეგლში.

პასუხის ძიებაში მიმოვიხილავთ: რა მიზანს ემსახურება ბიბლიური ეპიზოდის მოხმობა (ისაკის, იაკობისა და ესავის შესახებ) ზემოხსენებული ხოტბის 27-ე სტროფსა და თამარის დროინდელი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“; არის თუ არა ტექსტის კონკრეტულ პასაჟებში საუბარი დემეტრე პირველსა და დავით მეხუთეზე; ვხედავთ თუ არა მეხოტბეებისა და ისტორიკოსების მცდელობას, გაამართლონ სამეფო კარზე მიმდინარე მოვლენები; და რა თვალსაზრისებს გვთავაზობენ ამ კუთხით მეცნიერები.

თემური მეზუხნიშვილი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

ორი კათალიკოსის საკითხისათვის („ჴელმწიფის კარის გარიგების“ ერთ-ერთი მუხლის შესახებ)

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა როლი შუასაუკუნეების ისტორიის სარბიელზე საქართველოს ქვეყნის პოლიტი-

კური ისტორიის მიმდინარეობას ემთხვევა. XI საუკუნიდან ხდება მათი იურიდიული გაერთიანება კათალიკოს-პატრიარქის ეგიდის ქვეშ. XV საუკუნეში საქართველოს სამეფო-სამთავროებად პოლიტიკური დაშლის პარალელურად, ერთიანი ეკლესიის გათიშვაც მოხდა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მცხეთის ტახტმა დაკარგა გავლენა აფხაზთა საკათალიკოსოზე. ხოლო XIX საუკუნეში უკვე რუსული ექსპანსიის დროს, ჯერ აღმოსავლეთ და შემდგომ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოც გაუქმდა და საქართველომ დაკარგა ავტოკეფალია, რომლის აღდგენაც მხოლოდ 1917 წელს მოხერხდა. ამ დროიდან მოყოლებული საქართველოს ჰყავს კათალიკოს-პატრიარქი, რომლის მთავარი რეზიდენცია არის მცხეთა.

აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს დაარსების შესახებ მკვლევართა შორის განსხვავებული მოსაზრებები არსებობს (VIII-IX სს., X ს-ის II ნახევრი, XIII ს.) საქართველოს გაერთიანების შემდეგ, აფხაზთა კათალიკოსი, საკუთარ პოზიციაზე დარჩა, მაგრამ ეკლესიურად მცხეთის საკათალიკოსოს ექვემდებარებოდა.

მოხსენებაში ყურადღება იქნება გამახვილებული XIV საუკუნეში შედგენილი „ჯელმწიფის კარის გარიგების“ 34-ე მუხლის შესახებ: „...პირმშოებაჲ მან მიიღო, და ოდეს აკურთხეს, არ მაგად აკურთხევინეს, არ მოელის კათალიკოზსა, რომე არავი[ს] ქვეშეთ შექმოდესო. ვარქვე. და აცილნეს ორნივე კათალიკოზნი, არა მე მმართებსო, არა მეო“. აღნიშნული მონაკვეთი ძლიერ ნაკლოვანია და ამიტომ გაუგებარი. საწყისი ნაწილი აკლია, დარჩენილიდან ჩანს, რომ კათალიკოსებს შორის არსებობდა გარკვეული „ცილობა“. სავარაუდოდ, საქმე უნდა ეხებოდეს მეფის კურთხევის ჟამს, კათალიკოსის როლს. საფიქრებელია რომ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი აფხაზთა მეფის კურთხევის პროცესში, თავისი, როგორც აფხაზთა კათალიკოსის უპირატესობის ხაზგასმას ეცდებოდა, ხოლო მცხეთის კათალიკოს-პატრიარქი, როგორც საქართველოს ეკლესიის საქეთმპყრობელისა და საქართველოს კათოლიკოსებს შორის უპირატესის მდგომარეობის წარმოჩენას. შესაძლოა ეს, ან სხვა იყოს, მათი „ცილობის“ მიზეზი, რამაც აიძულა ძეგლის შემდგენელი გაეთვალისწინებინა ეს საკითხი.

გიორგი წიგნაძე
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქართველოში

საქართველოს ისტორიაში XIV საუკუნის ბოლო მეოთხედი ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდია. ამ დროს იწყება გათურქებული თემურ-ლენგის ამაოხრებელი შემოსევები. მოგვეხსენება, საქართველო იმ დროს ის ქვეყანა არ იყო, დამპყრობელს რომ ადვილად დამორჩილებოდა. სამშობლოს ერთგული მეფე, ბაგრატ V (1360-1393) არ შედრკა და მზად იყო ურიცხვ მტერთან შესაბმელად. მიუხედავად ქართველების თავგანწირვისა, თემურის ჯარის რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა და მტერი დედაქალაქში შევიდა. ეს ამბავი „ვითარცა ესმა მეფესა ბაგრატს, გამაგრდა ციხესა ტფილისისასა და, რა ესმა საქმე ესე ლანგთემურს, უფროსად განძვნდა და დაუმძიმდა წინააღმდეგობა მეფისა ბაგრატისა," ვკითხულობთ ბერი ეგნატაშვილისეულ ქართლის ცხოვრებაში.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იქნება თემურ ლენგის შემოჭრის მომენტზე, მიზეზზე, ასევე მიმოვიხილავ მაშინდელი კავკასიის რეგიონის მდგომარეობას. ცნობილია, რომ თემური ერთ-ერთი უსასტიკესი დამპყრობელია ისტორიაში, მისი ეს დაუნდობლობა ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა, რაც უფრო მეტად გამოჩნდა საქართველოსთან მიმართებაში. მტრის მიზანს წარმოადგენდა მთელი საქართველოს გადაშენება და ამიერკავკასიაში მყარად გაბატონება, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვერ შეძლო.

თემურ ლენგთან საქართველოს სამეფოს მიერ არნახულმა წინააღმდეგობამ, მის მიზანს დიდი ზიანი მიაყენა. სამშობლოსათვის თავდადებული მეფისა და ხალხის წყალობით, მოწინააღმდეგეს არ მიეცა გეგმის შესრულების საშუალება - საქართველო ქრისტიანულ სახელმწიფოდ დარჩა.

ნინო ინდუაშვილი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის I კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
ლერი თავაძე

ბურგუნდიის საჰერცოგოს ფლოტილიის მიერ საქართველოს შავიზღვისპირეთში ლაშქრობა

დასავლეთ ევროპაში XV საუკუნე დიდი სამხედრო-პოლიტიკური ძვრების ხანაა. ევროპა ასწლიანი ომის საბურველშია გახვეული. ბიზანტიის იმპერია თავისი არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლიდა. პოლიტიკური აღმავლობის გზაზე მდგარი ოსმალთა აგრესიის თავიდან აცილება მისი მოსაზღვრე ყველა პოლიტიკური ერთეულისათვის უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ ამოცანად იყო ქცეული. ევროპაში ისევ ახალი ძალით იფეთქა ჯვაროსნობის იდეამ, თუმცა წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით, აქ საუბარი წმინდა მიწების დაბრუნებაზე აღარ ყოფილა, ამჯერად ჯვაროსნობა ოსმალთა აგრესიისაგან ქრისტიანობის დაცვის მექანიზმად გადაიქცა. ევროპაში არსებული ანტიოსმალური კოალიციების მომზადების პროცესში გადამწყვეტი ადგილი ეჭირა ცენტრალურ ევროპაში მდებარე ბურგუნდიის საჰერცოგოს.

სწორედ ამ პერიოდში, 1445 წლის აპრილის მიწურულს საქართველოს შავიზღვისპირა სანაპიროს სამი უცნობი ხომალდი მოადგა, რომლებმაც დასავლურ წყაროებში მოხსენიებული ნავსადგური „ვატი“ დაარბიეს. თავდამსხმელები ბურგუნდიელი ჯვაროსნები იყვნენ, ხოლო ხომალდის კაპიტანი იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე სახელმოხვეჭილი რაინდი ჟოფრუა დე ტუაზი გახლდათ. ადგილობრივმა მეთაურმა დაატყვევა ბურგუნდიელი ჯვაროსნები და მათი მეთაური გარკვეული ხნის განმავლობაში დატყვევებული ჰყავდა.

აღნიშნული ფაქტის შესახებ ქართულ წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება. პირველად მის შესახებ ინფორმაციას ერთ ბურგუნდიულ ქრონიკაში ვხვდებით. ქართული საზოგადოებისათვის ბურგუნდიელთა ლაშქრობის შესახებ ცნობილი გახდა 1983 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ თამაზ ბერაძის საგაზეთო სტატიით. გარდა ამისა, საკითხის ირგვლივ მეცნიერული მუშაობა ჩაატარეს სხვა ქართველმა ისტორიკოსებმაც. მიუხედავად ამისა, საკითხი საინტერესოა, რამდენადაც იგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარეობს მკვლევართა განსხვავებული მოსაზრებები და დამოკიდებულება ბურგუნდიელი ჯვაროსნების საქართველოში ლაშქრობის წინაპირობებისა და მიზეზების შესახებ.

მოპოვებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგად, მოხსენებაში წარმოდგენილია ბურგუნდიელი ჯვაროსნების საქართველოში ლაშქრობის შესაძლო მიზეზები, ნავსადგურ „ვატის“ იდენტიფიკაცია, XV საუკუნის დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ვითარება, ბურგუნდიის საჰერცოგოს როლი მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და ბურგუნდიელთა ლაშქრობის მეთაურის – ჟოფრუა დე ტუაზის ქართული თავგადასავალი.

Mahiam Medaშვიღი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

სიკვდილით დასჯის საკითხი შუა საუკუნეების საქართველოში

სიკვდილით დასჯა სასჯელის უმაღლესი ზომაა, რაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს და სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა მსოფლიოს ამა თუ იმ სახელმწიფოში და მათ შორის საქართველოშიც.

შუა საუკუნეების საქართველო სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების კუთხით ჰუმანურ პოლიტიკას ირჩევდა, რაც გულისხმობს იმას, რომ სიკვდილით დასჯა და მისი ფორმები ზემოთ ხსენებული პერიოდისთვის არ ატარებდა აქტიურ ხასიათს. არაერთ ისტორიულ წყაროსა თუ ნაშრომში გვხვდება, ჩაქოლვა, „ძელსა ზედა ჩამოკიდება“, თავის მოკვეთა... სიკვდილით დასჯის ეს მეთოდები გამოიყენებოდა „მიუტევებელი“ დანაშაულების დროს.

მოხსენების მიზანია, წარმოჩინდეს თუ რა ადგილი ეკავა სიკვდილით დასჯას შუა საუკუნეების ქართულ კანონმდებლობასა თუ რეალურ ცხოვრებაში. გაანალიზებულ იქნას სიკვდილით დასჯის სახეები, მისი შემთხვევები და მიზნები. ნაშრომში შეძლებისდაგვარად იქნება განხილული შემთხვევები, როდესაც სიკვდილით დასჯა წარმოადგენდა დანაშაულების შემცირების ერთ-ერთ გზას და ასევე, შემთხვევები, როცა სიკვდილით დასჯა საერთოდ გაუქმებულია ქვეყანაში. ხაზგასმული იქნება, რომელ ეპოქაში მიმართავდნენ სასჯელის უმაღლეს ზომას და რა შედეგზე იყო იგი ორიენტირებული.

ნაშრომში, ასევე განხილულია სხვადასხვა სახის საკანონმდებლო ძეგლები, იქნება ეს საერო თუ სასულიერო პირთა მიერ შედგენილი. გა-

ანალიზებულია ძეგლების კონკრეტული მუხლები, რომლებშიც ხაზგასმითა თუ ირიბად საუბარია სიკვდილით დასჯაზე. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან ერთ-ერთ მუხლს კათალიკოსთა სამართლიდან, რომლის მიხედვით ადამიანი სიკვდილით ისჯება შემდეგი დანაშაულისათვის – „ვინც ეკლესია გატეხოს და ხატი განძარცოს უკანონოდ, ძელსა მიეცეს“.

საკითხი, რომელზეც საუბარია ნაშრომში საინტერესოა სხვადასხვა დეტალების გათვალისწინებით. კერძოდ, ითვალისწინებენ თუ არა მონარქები საკანონმდებლო ძეგლებში დაცულ შესაბამის მუხლებს, როდესაც სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილებას იღებდნენ, თუ თავისი, როგორც უმაღლესი კანონმდებლის უფლებით სარგებლობდნენ.

მარიამ ხოხბაღაძე
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

მესხეთის სამთავროს წარჩინებული საგვარეულო-კოპასძენი

კოპასძეთა საგვარეულო ერთ-ერთი დაწინაურებული საგვარეულო იყო სამცხე-საათაბაგოში. მათი მფლობელობა და გავლენა ვრცელდებოდა ოლთისის მხარეზე, კოპასძეების კუთვნილებაში იყო კოპის ციხე, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს საგვარეულოს სახელწოდება. კოპის ციხე და ხეობა, სადაც იგი მდებარეობს მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენდა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მათი პოლიტიკური მნიშვნელობა.

კოპასძეების დაწინაურებულ მდგომარეობას განაპირობებდა ისიც, რომ მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ სამცხის ათაბაგებთან. ამ მხრივ, გამოირჩევა დამოკიდებულება მზეჭაბუკის მიმართ. ამ ყველაფრის შესახებ ასახულია კოპასძეთა საგვარეულოს მოსახსენებელში, სადაც ისინი განსაკუთრებული განდიდებით მოიხსენიებენ მზეჭაბუკსა და მის ოჯახს.

კოპასძეების გავლენა პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე XVII საუკუნიდან, შედარებით დაკნინდა. როგორც ჩანს, სამცხე-საათაბაგოს ოსმალების მიერ დაპყრობის შემდეგ, მათი ერთი ნაწილი ოსმალების სამსახურში ჩადგა, ხოლო კოპაძეების მეორე შტოს მშობლიური მამულების დატოვება მოუწიათ და დაშლილი საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულში დაიწყეს დამკვიდრება. წყაროებიდან ჩანს, რომ, ისინი ამ პერიოდიდან ტოვებენ, ან ყიდიან საკუთარ ქონებას, ასევე, ვხედავთ ქართლში მათი საგვარეულოს წარმომადგენლის ციციშვილისადმი დაქ-

ვემდებარებას და ა.შ. კოპასძეთა საგვარეულოს სოციალური სტატუსის დაქვეითებაზე მიუთითებს ისიც, რომ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში იოანე ბაგრატიონის შედგენილ ნაშრომში, ქართველ წარჩინებულ გვარებს შორის, კოპასძეებს ვეღარ ვხედავთ.

სამცხე-საათაბაგოს წარჩინებული საგვარეულო – კოპასძე, მესხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და ათაბაგების ერთგულებით და სიახლოვით გამოირჩეოდნენ, მოგვიანებით მათ თანდათან დაკარგეს პრივილეგიები და XVIII საუკუნის ბოლოს წყაროებიდან საბოლოოდ გაქრნენ.

მარიამ ცეჩცვაძე
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ღიკა ყუღიაშვილი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

ლევან II დადიანის ხასიათისა და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბების მიზეზები და მათი გავლენა მთავრის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე

ერთიანი საქართველო XV საუკუნის ბოლოდან სამეფო-სამთავროებად დაიშალა, მოგვიანებით, იმერეთის სამეფოს ცალკე გამოეყო ოდიშის სამთავროც.

ოდიშის სამთავრომ განსაკუთრებულ ძლიერებას ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) მმართველობის პერიოდში მიაღწია. ოდიში ამ დროს ყველა კუთხით დაწინაურებული პოლიტიკური ერთეულია, ამ ყოველივეს მიზეზები კი ლევან დადიანის ხასიათში უნდა ვეძიოთ. მთავრის პიროვნების სირთულე და მრავალმხრივობა ნათლად იკვეთება იმაში, რომ იგი გახლდათ ერთი მხრივ, სასტიკი, მეორე მხრივ კი რელიგიის მიმართ კეთილგანწყობილი მმართველი.

ოდიშის მთავარის გარშემო არსებობს სხვადასხვა მოსაზრება როგორც ქართულ, ისე ევროპულ წყაროებსა და ისტორიოგრაფიაში. XVIII საუკუნის ისტორიკოსი, ვახუშტი ბატონიშვილი, რომლის უარყოფითი დამოკიდებულება დადიანის მიმართ ერთი მხრივ გასაგებიცაა, რადგან ის იყო სამეფო სახლის წარმომადგენელი და იდეოლოგი ერთიანი სა-

ქართველოსი. საინტერესოა XVII საუკუნის ისტორიკოსის, ფარსადან გორგიჯანიძის პოზიციაც, რომელიც საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ოდიშის ურთიერთობების შესახებ იმერეთის სამეფოსა და სპარსეთის კართან. ლევანის მოღვაწეობა არ დარჩენილა მისი თანამედროვე იტალიელი მისიონერების ყურადღების მიღმაც. არქანჯელო ლამბერტი ამომწურავად გვესაუბრება ოდიშის სამთავროს ცხოვრების ყველა ასპექტზე შემდეგ ნაშრომებში: „სამეგრელოს აღწერა“ და „წმინდა კოლხეთი“. მისი ევროპული აზროვნებისთვის შეუსაბამობაში მოდიოდა იმდროინდელი ოდიშის სამთავროში მიმდინარე მოვლენები. მიუხედავად ამისა, ავტორის ნაშრომი სწორ ასახვას წარმოადგენს ოდიშის სამთავროს ცხოვრებისა. ამ პერიოდში ოდიშის სამთავროში მოღვაწეობდა მისიონერი – დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელიც, რომლის რელაციაში მოყვანილია ისეთი ფაქტები, რომლებსაც ლამბერტის ნაშრომებში ვერ ვკითხულობთ – ჯუზეპესათვის წინა პლანზე სოციალური ცხოვრების ასპექტები იდგა. ჯუდიჩეს რელაცია ეყრდნობა უშუალოდ ოდიშიდან გაგზავნილ მოხსენებებს.

აკად. სიმონ ჯანაშიას შეფასებით, ლევან დადიანის მმართველობა, ეს არის პერიოდი, როდესაც ოდიშის სამთავრო აღწევს „მანამდე არნახულსა და შემდგომ აღარ განმეორებულ ძლიერებას“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლევან დადიანი ხასიათის სიმტკიცით, სიმკაცრით გამოირჩეოდა. ლევანი დაუნდობელი იყო როგორც საშინაო, ისე საგარეო მტრების მიმართ. მიუხედავად ამისა, მთავრის მმართველობის პერიოდში იკვეთება ისეთი მომენტებიც, რომლებშიც ჩანს ლევანის დამოკიდებულება ოჯახის წევრებისადმი, ანუ დადიანს ვხედავთ არა მხოლოდ როგორც პოლიტიკურ ფიგურას, არამედ როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, რომელსაც აქვს გრძნობები და ემოციები.

მოხსენების ფარგლებში, ჩვენი მიზანია, განვიხილოთ ლევან დადიანის პიროვნება ანალების სკოლის პირველი თაობის მიხედვით, კონკრეტულად კი მენტალობის შესწავლის კუთხით. მაგ., განხილული იქნება, ოდიშის მთავრის მძიმე ბავშვობა, რომელმაც, ჩვენი დაკვირვებით, უდიდესი გავლენა იქონია დადიანის, როგორც მმართველისა და პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში, ამ კუთხით კი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლევანის დაუოკებელი სწრაფვა განდიდებისაკენ, ანუ მისი მიდრეკილება მეგალომანიისაკენ. აგრეთვე მოხსენების ფარგლებში, განვიხილავთ ლევან დადიანის გლოვასა და მის ქმედებებს, რაც მეუღლის, ნესტან-დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ ჰქონდა; გასათვალისწინებელია მთავრის ინსტიქტი მისი მოკვლის მცდელობისას და ლევანის მდგომარეობა შვილების მისსავე სიცოცხლეში გარდაცვალების შემდგომ, სწორედ ამ ყველაფერმა დაგვანახა, თუ რა გარემოებებმა განაპირობა დადიანის პიროვნული თვისებების ფორმირება, რომლებსაც გავლენა ჰქონდა მის გადაწყვეტილებებზე პოლიტიკური და სხვა საკითხების დროს.

გიორგი დათუაშვილი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასოცირებული
პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი

იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-ის მკვლელობის საკითხისათვის

მოხსენება ეხება დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას XVII საუკუნის უკანასკნელ წლებში. კერძოდ, განხილულია იმერეთის მეფის ალექსანდრე IV-ის მკვლელობის საკითხი.

აღნიშნული თემით დაინტერესება განაპირობა საკითხის სრულყოფილად შესწავლის სურვილმა. საქმე ისაა, რომ სადღეისოდ აღნიშნული მოვლენის შესწავლისათვის ქართულ წყაროებთან ერთად ხელმისაწვდომია თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტების შინაარსიც.

ქართული და ოსმალური წყაროების შეჯერების შედეგად იკვეთება ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრებისაგან განსხვავებული გარემოებები. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ალექსანდრე IV-ის მკვლელობასთან დაკავშირებით წყაროების მონაცემების შეჯერების შედეგად მიღებული მოსაზრება. კონკრეტულად იმერეთის მეფის მკვლელობის საქმეში გვსურს განვიხილოთ გიორგი XI-ის ძმის არჩილის როლი, რამდენადაც ამის საშუალებას ქართული და ოსმალური წყაროები იძლევა.

მარი ბაიდარაშვილი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი
ლერი თავაძე

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები კახეთის მეფე-მთავართა ქრონოლოგიის შესახებ და „კახეთის მეფე-მთავართა დივანი“

ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ძეს, ვახუშტი ბაგრატიონს. ბატონიშვილი ვახუშტი გახლდათ ქართველი ისტორიკოსი, რომელმაც მნიშვნელოვანი ცნობები მოგვაწოდა საქართველოს პოლიტიკური და ისტორიული-გეოგრაფიის შესახებ. ის განსწავლული იყო ისტორია-

ში, მათემატიკაში, გეოგრაფიასა და ასტრონომიაში, ამასთანავე, დახელოვნებული გახლდათ კარტოგრაფიაში. ვახუშტი ბატონიშვილი ფლობდა ბერძნულ, ლათინურ, თურქულ, სომხურ, ფრანგულ და რუსულ ენებს.

ვახუშტის სამეცნიერო მემკვიდრეობიდან ისტორიის მკვლევართა ინტერესის საგანია „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელშიც მოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე. თავად შრომა 1742-1745 წლებშია დაწერილი. ამ ნაშრომში მოცემულია კახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული, პოლიტიკური ხასიათის ინფორმაცია. განსაკუთრებული ინტერესის საგანია ნაშრომის კონკრეტული ქვეთავი, კერძოდ, „ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა“. ამ ტექსტში ჩვენ ვხვდებით: კახეთის მეფეთა და ქორეპისკოპოსთა ქრონოლოგიის დეტალებს, რომლებიც არ მოიძებნება არცერთ თანადროულ ქართულ თუ უცხოურ წერილობით წყაროებში.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ვახუშტი ძირითადად ეყრდნობა „მატიანე ქართლისაჲს“, როდესაც საუბრობს VIII-XI საუკუნეებზე ანუ კახეთის საქორეპისკოპოსოსა და კახეთ-ჰერეთის სამეფოს ისტორიაზე. ფაქტოლოგიური თვალსაზრისით, „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ დაცული ცნობები და „მატიანე ქართლისაჲ“ ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა, მიუხედავად ამ მსგავსებისა, ქრონოლოგიური თვალსაზრისით შეინიშნება გარკვეული ხასიათის განსხვავება. ვხვდებით დამატებითი სახის ინფორმაციას, რომელიც არ ფიქსირდება „მატიანე ქართლისაჲში“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახუშტი ბატონიშვილის ძირითადი წყარო, რომლითაც იგი ხელმძღვანელობს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებია, თუმცა მისი ნაშრომი მყარ საფუძველს ქმნის ვარაუდისა, რომ იგი, ამასთანავე, ეყრდნობოდა ჩვენთვის უცნობ წყაროს, რომლის პირობითი სათაურია, „კახეთის მეფე-მთავართა დივანი“. აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროდ მიიჩნევა.

მედიკო ბიწაძე
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ის ასოცირებული
პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი

ტახტის მემკვიდრეობის წესის ცვლილება XVIII საუკუნის 90-იან წლებში და მისი გავლენა სამეფო ხელისუფლებაზე

ერეკლე II-ის მიერ 1791 წელს შედგენილი საგანგებო „განწესებანი“ უმნიშვნელოვანესი ისტორიული დოკუმენტია, რომელმაც განსაზღვრა როგორც სამეფო ხელისუფლების, ისე ქართული სამეფოს ბედი.

მოხსენებაში განხილულია დასახელებული ისტორიული დოკუმენტით დადგენილი ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესი. გაანალიზებულია „განწესებანი“, როგორც ზოგად ისტორიულ კონტექსტში, ისე ამ კანონით გამოწვეული შედეგები. ასევე, მნიშვნელოვანია მსჯელობა იმის შესახებ, ტახტის მემკვიდრეობის წესის ცვლილება და მასთან დაკავშირებული სამეფო ხელისუფლების განხეთქილება რამდენად შეიძლება განვიხილოთ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ქვეყნის რუსეთთან შეერთების დამაჩქარებელ გარემოებად.

მოხსენებაში დეტალურადაა გაანალიზებული დოკუმენტის შინაარსობრივი მხარე, მისი ცალკეული პუნქტები და მოგვიანებით ამ პუნქტებისადმი დაუმორჩილებლობით გამოწვეულ შედეგები. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის ერეკლე მეფის ამ გადაწყვეტილების შეფასებას.

საკითხი აქტუალურია, როგორც მისი ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ისე მასთან დაკავშირებული არაერთგვაროვანი შეხედულებების გათვალისწინებით. ვეცდებით გამოვარკვიოთ, ერეკლეს მიერ ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლის ფაქტსა და შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს შორის კავშირი.

ნოდარ შოშიაშვილისა და გივი ჯამბურიას შესახებ
გამოქვეყნებული საიუბილეო წერილები

მარიამ ღოთქიფანიძე

გივი ჯამბურია – დაბადებიდან 85 წლის იუბილეს აღსანიშნავად

გივი ჯამბურია დაიბადა 1924 წლის 24 აგვისტოს ქ. სამტრედიაში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1941-1946 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სპეციალობით, შემდეგ კი (1949 წლამდე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. მისი ხელმძღვანელი იყო ნიკო ბერძენიშვილი.

სტუდენტობის დროს მას ჰქონდა ბედნიერება მოესმინა დიდი ქართველი მეცნიერების: სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი ჩიტაიას, გიორგი ნიორაძის, შალვა ამირანაშვილის, კოტე ბაქრაძის – ლექციები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მისი, როგორც მოქალაქის, პიროვნების, მეცნიერის ჩამოყალიბების საქმეში.

1951 წელს დისერტაცია დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (თემაზე „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან“), 1975 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია („საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII ს-ის პირველ ნახევარში“).

გივი ჯამბურია მუშაობდა ჯერ ისტორიის ინსტიტუტში, შემდეგ კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრაზე. იგი კითხულობდა საქართველოს ისტორიის ზოგად კურსს ისტორიის, ფილოლოგიის, ჟურნალისტიკისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე; ისტორიის ფაკულტეტზე ატარებდა სპეცკურსს ქართული ისტორიოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობაში.

მან მოამზადა შვიდი ასპირანტი, რომლებმაც დაიცვეს საკანდიდატო დისერტაციები (ორმა მათგანმა კი – უკვე სადოქტორო დისერტაციაც). მისი რედაქტორობით რამდენიმე მონოგრაფიაც გამოვიდა.

გივი ჯამბურია 60 სამეცნიერო ნაშრომისა და 100-მდე საენციკლოპედიო სტატიის ავტორია. მის ნაშრომთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ შრომებს:

1. ***საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII ს-ის პირველ ნახევარში*** (სადოქტორო დისერტაცია. დაბეჭდილია ცალკეული ნაწილები);

2. ***ქართული ფეოდალური უთანასწორობის ისტორიიდან, სომხით-საბარათიანოს სათავადოები*** (თბ. 1955);

3. ***გიორგი სააკაძე*** (თბ. 1964);

4. ***სამთავრო-სენიორიალური სისტემა აღმოსავლეთ ქართლის საქართველოში*** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 227. თბ. 1982);

5. ***„მოქალაქეთა“ საკითხისათვის გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. ტეიმინ „მოქალაქის“ მნიშვნელობა საქართველოში (XVII-XVIII სს-ში).*** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 246. თბ. 1984);

6. ***იმუნიტეტი საქართველოში* (VI-XIV სს.)** (ნოდარ შოშიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული „ანამკი“. თბ. 2002);

7. ***ბატონყმობის საკითხისათვის*** (ჟურნ. „მაცნე“. # 4. თბ. 1979);

8. ***ბატონყმობისაგან გათავისუფლების ფაქტები საქართველოში (XII-XIII სს.)*** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 349. თბ. 2003); და სხვ.

მისი ნაშრომების ნაწილი 2007 წელს კრებულის სახითაც გამოიცა **(გივი ჯამბურია. ქართული ფეოდალიზმის საკითხები. თბ. 2007).**

ამ სტატიებში, ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებათა გათვალისწინებით, ნაჩვენებია, რომ ქართული და დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმის მსგავსება სავსებით აშკარაა. ასეთი ვითარება იყო საქართველოში მონღოლთა შემოსევამდე. შემდეგ ვითარება შეიცვალა.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ (რვატომეული) IV ტომში (თბ. 1973) დაბეჭდილია ნარკვევები: „სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVIXVII სს“; „ქართველი ხალხის ბრძოლა არსებობის შესანარჩუნებლად XVII ს-ის პირველ მესამედში;“ „საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს-ის 30-90-იან წლებში“.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ ავტორთა ჯგუფთან ერთად 1982 წელს გ. ჯამბურიას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. არის ღირსების ორდენის კავალერიც.

გივი ჯამბურია „თბილისის ისტორიის“ I ტომის (თბ. 1990) ერთ-ერთი თანაავტორიცაა. ამ გამოცემაში დაბეჭდილია მისი ნარკვევები:

1. ***ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ XVII ს-ის პირველ მესამედში;***

2. ***ცვლილებები თბილისის პოლიტიკურ ცხოვრებაში XVII ს-ის 30-90-იან წლებში;***

3. ***ცვლილებები თბილისის სამოხელეო წყობილებაში XVI-XVII სს-ში;***

4. ***სოციალური უთანასწორობანი თბილისში;***

უაღრესად საინტერესოდ მიგვაჩნია ქართული ისტორიოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილი გივი ჯამბურიას შრომები:

1. **საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში** (კრებ. „ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში“. თბ. 1986);

2. **ფეოდალური საქართველოს კლასებისა და კლასთა ბრძოლის საკითხები ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში** (ჟურნ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი). ნაკვეთი 35. თბ. 1963);

3. **ივანე ჯავახიშვილი** (ჟურნ. „საბჭოთა ქალი“. თბ. 1966);

4. **ნიკო ბერძენიშვილის წვლილი გვიანსაშუალო საუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეში** (კრებ. „ნიკო ბერძენიშვილი“. თბ. 1996);

5. **ზოგი რამ დავით გურამიშვილის საისტორიო პოემის შესახებ** (კრებ. dedicatio. თბ. 2001);

6. **ლევან მუსხელიშვილი** (კრებ. „ლევან მუსხელიშვილი“. თბ. 2001).

გივი ჯამბურიას გამორჩეული წვლილი მიუძღვის გიორგი სააკაძის ღვაწლის შესწავლისა და შეფასების საკითხში. მან მრავალი ბუნდოვანი საკითხი ახსნა ქართულ თუ უცხოურ ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობითა და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით; დაადგინა სააკაძის ბიოგრაფიის მრავალი ახალი გარემოება, რომ საქართველოში შაჰ-აბას I-მა ილაშქრა არა ორჯერ, არამედ ოთხჯერ; ახსნა დიდი მოურავის შესახებ არსებული ორი დაპირისპირებული შეხედულების წარმოშობის მიზეზები და მეცნიერულადაც დაასაბუთა გიორგი სააკაძის ფასდაუდებელი დამსახურება სამშობლოს წინაშე. მისმა მონოგრაფიამ და ცალკეულმა წერილებმა გაფანტა ეჭვი და გაუგებრობა დიდი ისტორიული პიროვნების მიმართ და დამსახურებული ადგილი მიუჩინა გიორგი სააკაძეს საქართველოს ისტორიაში.

საქართველოს ახალ ისტორიას მიუძღვნა გივი ჯამბურიამ ნაშრომი ***„გლეხთა ჰევოლუციური კომიტეტები საქართველოში 1905-1907 წწ.“*** (თბ. 1957). გივი ჯამბურია ერთ-ერთი თანაავტორია X კლასის საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოსიც (თბ. 2001) და საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს II ტომისაც (თბ. 2008).

საგანგებო აღნიშვნის ღირსად მიმაჩნია ისიც, რომ გივი ჯამბურიას სამეცნიერო სამუშაოსა და მის წარმატებებს ხელს უწყობდა მისი აწ განსვენებული მეუღლე ლია ლეჟავა – გამოჩენილი ენათმეცნიერი და თავადაც არაერთი სოლიდური სამეცნიერო გამოკვლევის ავტორი.

გივი ჯამბურია დიდი ოჯახის უფროსია: მას სამი შვილი, შვიდი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი ჰყავს. იგი ბრწყინვალე მეგობარი, პრინციპული პიროვნება და სანიმუშო მოქალაქეა. ვუსურვებთ დიდ წარმატებებს მეცნიერებასა და პირად ცხოვრებაში, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

(მაჰიამ ღოჰთქიფანიძე. გივი ჯამბუჰია – დაბადებიდან 85 წლის იუბილეს აღსანიშნავად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივეჰსიტეტის საქაჰთველოს ისტოჰიის ინსტიტუტის შჰომები. ტ. I. თბ. 2010, გვ. 376-380)

გივი ჯამბუხია

გამოჩენილი სწავლული – ნოდარ შოშიაშვილი

გამოჩენილი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ (ნუკრი) თევდორეს ძე შოშიაშვილი დაიბადა 1924 წლის 10 ივნისს ქ. გორში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის 107-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, საქართველოს ისტორიის სპეციალობით. მან თავიდანვე მიიქცია თავისი მასწავლებლების, აკადემიკოსების, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ყურადღება. პირველ კურსზევე რამდენიმე თანაკურსელთან ერთად მას დაუნიშნეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია. ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა 1946 წელს და იმავე წელს შევიდა უნივერსიტეტის ასპირანტურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით.

ნოდარ შოშიაშვილი ნიკო ბერძენიშვილის გამორჩეული მოწაფე იყო. იგი თავიდანვე წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიის საკითხებით დაინტერესდა. მის საკანდიდატო დისერტაციაში: „რკონის დაწერილი როგორც საისტორიო წყარო“ (დაიცვა 1953 წელს) განხილულია 1260 წლის ქართული დოკუმენტი, როგორც წყარო, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხასიათის, სამონასტრო მეურნეობის, ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიის, XIII საუკუნის ისტორიული ქრონოლოგიის შესახებ, აგრეთვე, როგორც ქართული დიპლომატიკის ნიმუში.

1951-1958 წლებში სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა. 1958-1972 წლებში კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ისტორიული დოკუმენტებისა და არქივების განყოფილების (1960-1963 წწ.), შემდეგ – პალეოგრაფიის განყოფილების (1963-1968 წწ.) და ბოლოს დიპლომატიკის განყოფილების (1968-1972 წწ.) ხელმძღვანელია. 1972 წლიდან გარდაცვალებამდე იყო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი, შემდეგ, 1992 წლიდან – პროფესორი.

ნოდარ შოშიაშვილი 1954 წლიდან კითხულობდა ლექციებს ჯერ თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის და სხვა ფაკულტეტებზე. მისი კურსები იყო: საქართველოს ისტორია, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა, ქართული ისტორიოგრაფია, ქართული პალეოგრაფია და ქართული დიპლომატიკა. მიჰყავდა აგრეთვე შემდეგი სპეცკურსები: ანტიკური ხანის ქართულ სახელმწიფოთა და შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწი-

ფო წყობილება; ქართული ფეოდალური საგვარეულოების და ქართული ქრისტიანული ეპარქიების ისტორია.

ნოდარ შოშიაშვილი გამოირჩეოდა ხალასი ნიჭით, ფართო განათლებითა და დიდი შრომისუნარიანობით, რის შედეგადაც შექმნა უაღრესად ფასეული რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, დიპლომატიკის, პალეოგრაფიის, საქართველო-სომხეთის ურთიერთობების თუ რუსთველოლოგიის დარგში.

ქართულ ეპიგრაფიკასა და პალეოგრაფიაში გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართული წარწერების კორპუსი“ (1980 წ. 40 თაბახი), რომელიც ავტორმა სადოქტორო დისერტაციად მოგვიანებით 1998 წლის 21 სექტემბერს დაიცვა. ნაშრომში გამოთქმული და განხილულია V-X საუკუნეების ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, სულ 187 წარწერა. თითოეული ძეგლის გამოცემას ახლავს მისი პალეოგრაფიული და შინაარსობრივი დახასიათება, დათარიღება, ბიბლიოგრაფია, ყველა წარწერის ფოტო და გრაფიკული მონახაზი. ნაშრომში განხილულია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სახეები და მათი წყაროთმცოდნეობითი დახასიათება, წარმოჩენილია V საუკუნის ეპიგრაფიკული ძეგლების ჯგუფი (ურბნისის, ნიქოზის, აკაურთას, ბოლნისის). ახლებურადაა წაკითხული და დათარიღებული მთელი რიგი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები (სამშვილდის სიონი, ატენის სიონი, ბანა, მარტვილი, ურბნისი და სხვ.) ნაშრომმა დაიმსახურა საუნივერსიტეტო პრემია. იგი გამოქვეყნებულია ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ პალეოგრაფიასა და ეპიგრაფიკაში.

ნაშრომში: „ურბნისის ძველი ქართული წარწერები“ (კრებულში: „პალეოგრაფიული ძიებანი“, I, 1964 წელი) განხიულია ურბნისის სიონის კედლებზე შემორჩენილი V-XVIII საუკუნეების ქართული წარწერები, მოცემულია მათი პალეოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი დახასიათება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აქ ურბნისის სიონის საამშენებლო წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, V საუკუნის პირველი ნახევრითაა დათარიღებული, ამრიგად, დადგენილია ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერაზე უფრო ადრინდელი ეპიგრაფიკული ძეგლი.

საყურადღებო ნაშრომია „სოფელ დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერები“ („საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XIX-A და XXI-B, თბ., 1957 წ.), რომელშიც განხილულია X საუკუნის შიდა ქართლის ეპიგრაფიკული ძეგლები (დოდოთის, ერედვის, ტბეთის). წარწერებში იხსენიებიან დიდაზნაურთა საგვარეულოს, ტბელების წარმომადგენლები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, დადგენილია ტბელების საგვარეულოს გენეალოგია.

განსაკუთრებით საინტერესო სტატია: «Развитие грузинской эпиграфики и палеографии» (კრებული: «Проблемы палеографии и кодикологии», М., 1974 г.), რომელშიც განხილულია ქართული პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის განვითარების ისტორია.

ნოდარ შოშიაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართულ დიპლომატიკასა და წყაროთმცოდნეობაში. ამ რიგის ნაშრომთაგან აღსანიშნავია „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“ (32 თაბახი, თანაავტორები: თ. ენუქიძე და ვ. სილოგავა), თბ., 1984 წელი. მასში სრულადაა გამოცემული და კომენტირებული IX-XIII საუკუნეების ისტორიული საბუთები. ნაშრომს ახლავს ნ. შოშიაშვილის გამოკვლევა, რომელშიც განხილულია ქართული დიპლომატიკის საკითხები (ქართული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები, საბუთების გამოცემები და სხვ.). ნაშრომი გამოყენებულია ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ ქართულ წყაროთმცოდნეობასა და დიპლომატიკაში.

ნოდარ შოშიაშვილის ნაშრომში: „თამარ მეფის წყალობის სიგელი გელათის მონასტერისადმი“ (კრებული: «Источниковедческие разыскания», Тб., 1979 г.) დიპლომატიკური და წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით განხილული და დახასიათებულია თამარის 1197 წლის სიგელი გელათის მონასტრისადმი, დადგენილია აქ მოხსენიებულ პირთა ვინაობა, აღდგენილია საბუთის დაზიანებული ადგილები და სხვ.

ნოდარ შოშიაშვილის სამეცნიერო მოხსენებაში: „ქართული დიპლომატიკის ზოგიერთი საკითხი (XI-XIII საუკუნეების სამეფო სიგელების „თავი“ და „ბრძანებულება“)“, (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესია, თბ., 1967 წ.), განხილულია ქართული ისტორიული საბუთების შედგენილობა XI-XIII საუკუნეებში. დადგენილია, თუ როგორ იცვლებოდა ქართული სამეფო სიგელების შედგენილობა საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლის შედეგად.

ნოდარ შოშიაშვილის კვლევის ერთ-ერთი ობიექტი „ქართლის ცხოვრებაც“ იყო. 1975 წელს გამოქვეყნდა მისი სტატია „ანასეული ქართლის ცხოვრების პირის გადაწერის თარიღი“ („მრავალთავი“, V, 1975 წ.). ნოდარ შოშიაშვილმა 1985 წელს, წაიკითხა მოხსენება ქ. ბათუმში ჩატარებულ სამეცნიერო სესიაზე: «Некоторые вопросы истории создания «Картлис цховреба» (Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Всесоюзная научная сессия. Тезисы докладов. Тб., 1985 г.). 1996 წელს, ილია ანთელავასთან ერთად, გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ ძველი ციკლის ნუსხების შეჯერებული ტექსტი, რომლის საფუძველია „ძველი ქართლის ცხოვრების“ ე.წ. „მცხეთური ციკლი“. გამოცემა ითვალისწინებს ადრინდელ, მათ შორის ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით განხორციელებულ აკადემიურ გამოცემას, აგრეთვე, მკვლევართა მიერ უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე „ქართლის ცხოვრებაზე“ გაწეული მუშაობის შედეგებს. იგი განკუთვნილია მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის. 90-იან წლებში გამოვიდა აგრეთვე „ქართლის

ცხოვრების“ ადაპტირებული ტექსტის ორი ტომი მანანა სანაძის თანაავტორობით. პირველ ტომში შედის ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“, ხოლო მეორეში – ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ და ლეონტი მროველის „წამება წმინდისა არჩილისა“. ორივე ტომს ახლავს ვრცელი გამოკვლევა და კომენტარები, სადაც გაანალიზებულია „ქართლის ცხოვრების“ ცნობები და შეჯერებულია მეცნიერების თანამედროვე მიღწევებთან. ის დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლე ახალგაზრდობას და მკითხველთა ფართო საზოგადოებას საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

ნოდარ შოშიაშვილის წყაროთმცოდნეობით ნაშრომთაგან მნიშველოვანია XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის გრიგოლ აკანელის „მოისართა ტომის ისტორიის“ სომხური ტექსტის გამოცემა, თარგმანითა და გამოკვლევით.

ნოდარ შოშიაშვილმა მნიშვნელოვანი გამოკვლევები უძღვნა შოთა რუსთაველის წარმომავლობისა და ბიოგრაფიის საკითხებს. ასეთ ნაშრომთაგან აღსანიშნავია: „XII-XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი“ (ჟურნალი „ცისკარი“, №9, 1965 წ,); „თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი“, (კრებული: „შოთა რუსთაველი“, 1966 წ.) „შოთა რუსთაველის ვინაობის საკითხისათვის“ („მნათობი“, №11, 1969 წ.).

ნოდარ შოშიაშვილი თანაავტორია „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“ ორტომეულისა, რომელიც უნივერსიტეტმა გამოსცა 1998 წელს. ამ მნიშვნელოვანი გადმოცემის ერთი თავი – „ქართლის სამეფო საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია III საუკუნიდან V საუკუნის I ნახევრამდე“ – შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე; მას დიდი წვლილი შეაქვს ქართული დიპლომატიის ისტორიის შესწავლის საქმეში.

ნ. შოშიაშვილი თანაავტორია საქართველოს ისტორიული რუკების: „საქართველო IX-X საუკუნეებში“, „საქართველოს სახელმწიფო XIII საუკუნის დამდეგს“, „საქართველო XVI საუკუნის პირველ ნახევარში“, რომლებიც გამოქვეყნებულია „საქართველოს სსრ ატლასში“ (1964 წ.).

დიდი წვლილი შეიტანა ნ. შოშიაშვილმა ქართული ენციკლოპედიის მაღალ დონეზე გამოცემის საქმეშიც. ათი წლის განმავლობაში (1978-1988 წწ.) იგი ხელმძღვანელობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის საქართველოს ისტორიის რედაქციას. მან საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე 200-მდე ორიგინალური საენციკლოპედიო სტატია დაწერა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ პირებზე, ფეოდალურ საგვარეულოებზე, ბაგრატიონთა დინასტიაზე, ქრისტიანულ ეპარქიებზე, ქართული დამწერლობის წარმოშობა-განვითარებაზე, ეპიგრაფიკაზე და სხვ. გარდა ამისა, ნ. შოშიაშვილის მიერაა შესრულებული ქართული დამწერლობის განვითარების ქრონოლოგიური ტაბულები, რომელიც წინ უძღვის ენციკლოპედიის ტომებში შესულ ყოველ ახალ ასოს.

ნ. შოშიაშვილი გამორჩეული ლექტორი და პედაგოგი იყო. იგი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა სტუდენტ ახალგაზრდობაში. მან მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი აღზარდა, რომელთაგან რამდენიმე დოქტორია. სტუდენტი ახალგაზრდობისა და ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ნოდარ შოშიაშვილი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ბატონი ნოდარი აქტიურად ეხმაურებოდა სტატიებით პრესაში როგორც მეცნიერულ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემატურ საკითხებს.

ნ. შოშიაშვილი გარდაიცვალა 1999 წ. 2 იანვარს. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული მეცნიერებისათვის, მისი კოლეგებისა და მეგობრებისათვის, რომლებიც ყოველთვის გრძნობდნენ მის გულისხმიერ დამოკიდებულებას.

ნოდარ შოშიაშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართულ მეცნიერებაში. მისი შრომები ახალ სტიმულს მისცემს მეცნიერების იმ დარგებს, რომელთაც ის ღირსეულად ემსახურებოდა.

(გ. ჯამბუხია. გამოჩენილი სწავლული. „ანამკი“, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, შემდგენელი და ხელაქტორი – ნათელა ვაჩნაძე, თბ., 2002, გვ. 5-10)

სარჩევი

მოხსენებათა თეზისები

შოთა კენჭოშვილი
დავით III კურაპალატისა და ბაგრატ III-ს შორის წარმოქმნილი „დაპირისპირების“ შესახებ 2

გიორგი ჩანადირი, გივი ფრუიძე
ვიკინგები საქართველოში: წარმომავლობა და მათი რაოდენობა 3

ეთერი ნარეკლიშვილი
სიყვარულის აპოლოგიის მხატვრული რეალიზაცია “ეთერიანში” 4

თეონა ქარჩავა
იოანე პეტრიწი, შუა საუკუნეების ქართველი ფილოსოფი 5

ნინო თადიაშვილი, თამარ ლუკიანსკი
თორელთა რეზიდენციის მნიშვნელობა 6

ლუკა ნებიერიძე
სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების (საერისთავოების), სამეფო დომენისა და ცალკეული ფეოდალების სამხედრო ძალა შუა საუკუნეების საქართველოში (XI-XII სს) 7

გვანცა დარასელია
XII ს-ის I მეოთხედის საქართველოს სამეფო და დავით აღმაშენებელი ჯვაროსნული სამყაროს თვალით (ანსელუსის წერილის მიხედვით) 8

გიორგი გიგაევი, ლუკა რეხვიაშვილი
„მსტოვართა ინსტიტუტის“ შესახებ 9

მარიამ ჭანტურიძე
XII საუკუნის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხი ამავე ეპოქის წერილობით ძეგლებში 11

თემური მეზურნიშვილი
ორი კათალიკოსის საკითხისათვის („ჴელმწიფის კარის გარიგების“ ერთ-ერთი მუხლის შესახებ) 11

გიორგი წიგნაძე
თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქართველოში 13

ნინო ინდუაშვილი
ბურგუნდიის საჰერცოგოს ფლოტილიის მიერ საქართველოს შავიზღვისპირეთში ლაშქრობა 14

მარიამ მელაშვილი
სიკვდილით დასჯის საკითხი შუა საუკუნეების საქართველოში 15

მარიამ ხორბალაძე
მესხეთის სამთავროს წარჩინებული საგვარეულო – კოპასძენი 16

მარიამ ცერცვაძე, ლიკა ყულიაშვილი
ლევან II დადიანის ხასიათისა და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბების მიზეზები და მისი გავლენა მთავრის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე 17

გიორგი დათუაშვილი
იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-ის მკვლელობის საკითხისათვის 19

მარი ბაიდარაშვილი
ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები კახეთის მეფე-მთავართა ქრონოლოგიის შესახებ და „კახეთის მეფე-მთავართა დივანი“ 19

მედიკო ბიწაძე
ტახტის მემკვიდრეობის წესის ცვლილება XVIII ს.-ის 90-იან წლებში და მისი გავლენა სამეფო ხელისუფლებაზე

ნოდარ შოშიაშვილისა და გივი ჯამბურიას შესახებ გამოქვეყნებული საიუბილეო წერილები

მარიამ ლორთქიფანიძე
გივი ჯამბურია – დაბადებიდან 85 წლის იუბილეს აღსანიშნავად 25

გივი ჯამბურია
გამოჩენილი სწავლული – ნოდარ შოშიაშვილი 28

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა
2024 წელი

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Tchavtchavadze Avenue,
Tbilisi 0128 Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278
www.press.tsu.edu.ge

უნივერსიტეტის
გამომცემლობა